საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

იოანე ხახულელი

იოანე ხახულელი, X–XI სს. სასულიერო მოღვაწე, კალიგრაფი და მთარგმნელი, ბაგრატ IIIის თანამედროვე. გამოირჩეოდა მჭევრმეტყველებით, რის გამოც „ოქროპირი" უწოდეს.

ი. ხ-ის მიერ საქართველოში შესრულებული ხელნაწერი ანდერძის მიხედვით, მისი მოძღვარი იოანე გრძელისძე ყოფილა. არაერთი წყარო ადასტურებს ი. ხ-ის ხელდასხმას თავდაპირველად ბოლნისის, ხოლო შემდეგ – ხახულის ეპისკოპოსად. დაახლ. 1019 არსენ ნინოწმინდელთან ერთად ათონის მთაზე გაემგზავრა და იქვე დამკვიდრდა სამოღვაწეოდ. მკვლევართა ნაწილი ი. ხ-ს და იოანე ბოლნელს ერთსა და იმავე პიროვნებად მიიჩნევს, რადგან დიდ მსგავსებას პოულობენ მათ ცხოვრებასა და მოღვაწეობაში – ერთნაირად გამოირჩეოდნენ მჭევრმეტყველი ქადაგებებით და, ასევე, ორივენი ბაგრატ III-ის თანამედროვენი იყვნენ.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ღირსი ი. ხ. წმინდანად შერაცხა და ხსენების დღედ 10 (23) მარტი დაადგინა.

ლიტ.: ქართველ წმინდანთა ცხოვრებანი, რედ. ა. მიქაბერიძე, თბ.– ათენი, 2003.

თ. მარგველაშვილი